განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
4-5 ნოემბერი, 2021

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
17 დეკემბერი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა Diplomacy and International Politics
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლოტიკის მაგისტრი (MA in Diplomacy and International Politics)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხვიჩა ბერიძე, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ ახალი პროგრამაა, რომელიც შეიქმნა სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის საფუძველზე (17.10.2011 გადაწყვეტილება No.118) და განხორციელდება აწსუ ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 120 ECTS (წელიწადში 60 კრედიტი, სემესტრში 30 კრედიტი, 1 კრედიტს შეესაბამება 25 სთ) და მისი ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი). პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობაა 105 კრედიტი (მათ შორის: სასწავლო კურსები 75 კრედიტი; პროფესიული პრაქტიკა 10 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი 20 კრედიტი); არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობაა 15 კრედიტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 11 (ყველა მათგანი აფილირებულია).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი მიმდინარეობდა 2 დღის მანძილზე ონლაინ ფორმატში (ZOOM) შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. აკრედიტაციის ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუები უსდ და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, უსდ და ფაკულტეტის ხარისხის მართვის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან (რომელიც ამავე დროს განიხილება სამაგისტრო ნაშრომების მომავალ ხელმძღვანელებად), მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელდა ინფრასტრუქტურის დათვალიერება, საბიბლიოთეკო რესურსებისა და პერსონალისა და სტუდენტების სერვისების განხორციელებული საუნივერსიტეტო პლატფორმების გაცნობა. ვიზიტმა ჩაიარა კეთილგანწყობილ, კოლეგიალურ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3. ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.5. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.6. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმში პროგრამის შედეგების რეფორმულირება იმ ასპექტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის სტრუქტურით და დაზუსტებულია პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში.

რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე) და დაკონკრეტდეს, რა შემთხვევაში გათავისუფლდება პროგრამაზე ჩაბარების მსურველი ინგლისური ენის გამოცდისგან (კონკრეტული სერთიფიკატების მითითება და სხვ. პირობები).

რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაში სავალდებულო პრაქტიკის კრედიტები და განისაზღვროს არაუმეტეს 5 კრედიტით.

რეკომენდებულია, პროგრამის სავალდებულო ნაწილს დაემატოს დარგობრივი ინგლისური ენა, ხოლო არსებული ინგლისური ენის სასწავლო კურსები პროგრამის არჩევით ნაწილში (ინგლისური ენა 1, ინგლისური ენა 2, ინგლისური ენა 3) მოიხსნას პროგრამიდან ან ჩანაცვლდეს სხვა უცხო ენით.

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი „საერთაშორისო პოლიტიკა“.

რეკომენდებულია, შეიცვალოს სასწავლო კურსების „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“ და „რეგიონული უსაფრთხოება და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“ თანმიმდევრობა პროგრამის სტრუქტურაში და პირველი განისაზღვროს მეორე სასწავლო კურსის წინაპირობად.

რეკომენდებულია, დაიწეროს ახალი სილაბუსები სასწავლო კურსებისთვის „საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თანამედროვე გამოწვევები და მიდგომები“, „საერთაშორისო ურთიერთობათა იდეოლოგიები და თანამედროვე მსოფლიო“, „საგარეო პოლიტიკის ანალიზი“, „ქართული დიპლომატია და მისი ანალიზი“, „პოსტსაბჭოთა პოლიტიკა“ სფეროს სპეციფიკის და სწავლების დონის გათვალისწინებით.

რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში გამრავალფეროვნდეს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა ახალი გამოცემებით, ინგლისურენოვანი ლიტერატურით, სამეცნიერო სტატიების გამოყენებით, პოლიტიკის დოკუმენტების გამოყენებით, სასარგებლო ბმულების მითითებით (მაგ. პოლიტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების ვებგვერდები, საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები, ვებგვერდები სადაც განთავსებულია სხვადასხვა კანონმდებლობა, კვლევითი ორგანიზაციების ვებგვერდები, მედია აუთლეტები და სხვ.) და სილაბუსის თითოეულ თემას მიეთითოს სავალდებულო ლიტერატურა კვირების მიხედვით და თემების შესაბამისად.

რეკომენდებულია, გაიზარდოს სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თანამედროვე გამოწვევები და მიდგომები“ საკრედიტო მოცულობა 6 კრედიტამდე.

რეკომენდებულია, პროგრამის პრაქტიკული უნარების განმავითარებელ სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტების პრაქტიკულ დავალებებზე დაფუძნება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ასახულ იქნას პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები.

სასურველია, სპეციალობის გამოცდის წერითი ტესტი გამრავალფეროვნდეს სხვადასხვა ტიპის დავალებებით (მაგ. ესსე, წყაროს ანალიზი, ტექსტის ანალიზი და სხვ.))

სასურველია, გამრავალფეროვნდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი სფეროს სფეციფიკისა და სწავლების დონის შესაბამისი სასწავლო კურსებით.

სასურველია, სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ პროგრამის სტრუქტურაში გადანაცვლდეს მეორე სემესტრში.

სასურველია, სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ ერთი თემა მაინც დაეთმოს სტატისტიკის განხილვას.

სასურველია, სილაბუსში „სამაგისტრო ნაშრომი“ ატივობების ჩამონათვალში გათვალისწინებულ იქნას საკვლევი საკითხის თეორიასთან დაკავშირება.

სასურველია, გამოცდებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების გაზრდა.

სასურველია, პროგრამის სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდების ნაკლები უნიფიცირება სასწავლო კურსის შინაარსისა და შეფასების სისტემის გათვალისწინებით.

სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსების აქტივობის რუბრიკები გამრავალფეროვნდეს შეფასების მეთოდებით სასწავლო კურსის შინაარსის გათვალისწინებით.

სასურველია, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი წარმოდგენილი იყოს უფრო თვალსაჩინოდ, სადაც გამოჩნდება ამ მიმართულებით წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა პროექტების სავარაუდო ფინანსური ხარჯი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამა ახალია

მოსაზრებები უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ უსდ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. აღსანიშნავია, რომ უსდ ითვალისწინებს სააკრედიტაციო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციების დიდ ნაწილს და აღნიშნავს, რომ უკვე დაწყებულია მუშაობა აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის. მათ შორის, 4.4 ქვესტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით (ბიუჯეტის ფორმა) უსდ გვაწვდის ინფორმაციას: „უკვე შემუშავდა ცვლილებების პროექტი პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტში, რომლის თანახმად ბიუჯეტში ასახული იქნება ფინანსური ხარჯები ყველა ტიპის აქტივობისთვის, მათ შორის დაგეგმილი სხვადასხვა პროექტებისთვის. პროექტი წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად წარედგინება 2021 წლის 21 დეკემბერს“. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააკრედიტაციო ჯგუფის წევრების ერთობლივი მოსაზრებით, დასკვნის პროექტში წარმოდგენილი 4.4. ქვესტანდარტის რეკომენდაცია წარმოდგენილ დასკვნაში ასახულია როგორც რჩევა. ასევე, წარმოდგენილი არგუმენტაციის მიხედვით იკვეთება, რომ პროგრამის მეორე უცხო ენის ბლოკში გათვალისწინებული ინგლისური ენის სილაბუსები ტექნიკური შეცდომაა. შესაბამისად, აღნიშნულმა რეკომენდაციამ შეიცვალა ფორმულირება.

გარდა აღნიშნულისა, უსდ არ ეთანხმება ორ რეკომენდაციას (პროგრამის სტრუქტურაში ერთი სასწავლო კურსის დამატება და კრედიტების გაზრდა ერთი სასწავლო კურსისთვის). სააკრედიტაციო ჯგუფის წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით, არ იცვლება აღნიშნული რეკომენდაციები. აღნოიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით დეტალური განმარტება მოცემულია შესაბამის ქვესტანდარტებში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. კერძოდ, პროგრამის მიზნები გულისხმობს სიღრმისეული და სისტემური დარგობრივი თეორიული ცოდნის გადაცემას, მიღებული თეორიული ცოდნის კრიტიკულად გააზრებისა და ლიდერობის უნარების განვითარებას, ღირებულებებისა და ფასეულობების გააზრებას სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია და ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უსდ მისიასთან, ფაკულტეტის მისიასთან, ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიასთან და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნების შესაბამისობა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ მე-7 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებთან სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით დადებითად არის შეფასებული როგორც შიდა, ასევე გარე შემფასებლის მიერ. პროგრამის მიზნების შემუშავებაში თვითშეფასების ჯგუფის წევრების ჩართულობა დასტურდება განხორციელებული ინტერვიუებით. მიზნები ასახულია საგანმანათლებლო პროგრამასა და თვითშეფასების დოკუმენტში და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. პროგრამის ამუშავების შემდეგ, პროგრამა განთავსდება უსდ ვებგვერდზე. პროგრამის მიზნებში არ არის ასახული ინტერნაციონალიზაციის საკითხები. ინტერნაციონალიზაცია ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში ასახულია როგორც გასაუმჯობესებელი მხარე, რომლის გასაუმჯობესებლად შემუშავებული გეგმები ასახულია როგორც აღნიშნულ დოკუმენტში, ასევე სხვა საფაკულტეტო დოკუმენტებში და უსდ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტში. **სასურველია,** საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ასახულ იქნას პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • შიდა და გარე შეფასების დოკუმენტები;

- უსდ მისია და ფაკულტეტის განვითარების სტრატეგია (2018-2024);
- ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევის პროფილი;
- ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროფილი;
- აწსუ სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2018)
- დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის ოქმები;
- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა 2020;
- ინტერვიუს შედეგები;
- უსდ ვებგვერდი https://atsu.edu.ge/

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ასახულ იქნას პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. კერძოდ, ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში აღწერილია რა ტიპის დარგობრივ ცოდნას შეიძენს სტუდენტი და როგორ გააცნობიერებს მიღებულ თეორიულ ცოდნას; შედეგების უნარების ნაწილში აქცენტი კეთდება ანალიზის, პრეზენტირებისა და კვლევის უნარებზე; პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი აქცენტს აკეთებს მხოლოდ ღირებულებებსა და ფასეულობებზე. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ძირითადად შეესაბამება განათლების ეროვნული

საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებსა და პროგრამის სტრუქტურას. აღსანიშნავია, რომ შედეგების ცოდნის ნაწილში არ არის დაკონკრეტებული დარგობრივი ცოდნის ასპექტები, კვლევითი პროცესის დაგეგმვა ხაზგასმულია მხოლოდ უნარების ნაწილში და არა შედეგების ავტონომიურობა-პასუხისმგებლობა ნაწილში, ამ უკანასკნელში ასევე არ არის გათვალისწინებული პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსად გათვალისწინებული პრაქტიკით მიღებული პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში პროგრამის შედეგები აღწერილია უფრო დეტალურად, ვიდრე პროგრამის კურიკულუმში. ვინაიდან დაინტერესებულ მხარეებს პროგრამის შედეგების გაცნობა შეეძლებათ პროგრამის კურიკულუმის საშუალებით და არა თვითშეფასების დოკუმენტით, **რეკომენდებულია,** პროგრამის კურიკულუმში პროგრამის შედეგების რეფორმულირება იმ ასპექტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის სტრუქტურით და დაზუსტებულია პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში.

პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია, ითვალისწინებს პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დასტურდება განხორციელებული ინტერვიუებით.

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია. პროგრამის სწავლის შედეგების კურიკულუმთან შესაბამისობისთვის გაკეთდა კურიკულუმის რუკა, სადაც გათვალისწინებულია სამ დონიანი შეფასება (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). შემუშავებულია სამიზნე ნიშნულები, სამიზნე ნიშნულებთან დადარება მოხდება 2 წლიან დინამიკაზე მონიტორინგის შემდეგ.

უსდ-ს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები რაც მომავალში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ შეფასებას სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოხდება ისეთი პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა სტუდენტის აქტივობების, პრაქტიკის ანგარიშების და სამაგისტრო ნაშრომების შეფასება; შიდა და გარე შეფასებები, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების გამოკითხვები; პროგრამის დასრულებისა და დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი და სხვ. სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართული იქნება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები. შეფასების მეთოდებით მიღებული ინფორმაცია გაანალიზდება და გამოყენებული იქნება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ უსდ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურიკულუმის რუკა და კურიკულუმის რუკის ანალიზი;
- უსდ ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- პროგრამის მიზნების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- უსდ შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი;

• სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის, დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები; • შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა 2020; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია,** პროგრამის კურიკულუმში პროგრამის შედეგების რეფორმულირება იმ ასპექტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის სტრუქტურით და დაზუსტებულია პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ სტუდენტის დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; საერთო სამაგისტრო გამოცდა; შიდა საუნივერსიტო გამოცდები (უცხო ენის გამოცდა B2 დონე და გამოცდა სპეციალობაში). უცხო ენის გამოცდას ატარებს უსდ ენათა ცენტრი. პროგრამის კურიკულუმსა და თვითშეფასებაში მოხსენიებულია „უცხო ენა“. სფეროს სპეციფიკისა და სავალდებულო/დამატებით ლიტერატურაში გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის გათვალისწინებით, მიღების წინაპირობა უნდა გულისხმობდეს გამოცდას ინგლისურ ენაში და არა ნებისმიერ უცხო ენასი. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ უცხო ენის გამოცდაში ინგლისური ენა იგულისხმება, თუმცა პროგრამის სტრუქტურის არჩევით ნაწილში ინგლისური ენის შემსწავლელი სამი სასწავლო კურსი (რომლებიც ენის შესწავლის საწყის დონეებს მოიაზრებს თავისი შინაარსით) კიდევ ერთხელ აჩენს ეჭვს და წინაპირობის დაკონკრეტების აუცილებლობას. გარდა აღნიშნულისა, პროგრამის წინაპირობებში არ არის მითითებული, რა შემთხვევაში თავისუფლდება პროგრამაზე მოხვედრის მსურველი ენის გამოცდისგან. შესაბამისად, **რეკომენდებულია,** პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე) და დაკონკრეტდეს, რა შემთხვევაში გათავისუფლდება პროგრამაზე ჩაბარების მსურველი ინგლისური ენის გამოცდისგან (კონკრეტული სერთიფიკატების მითითება და სხვ. პირობები). გამოცდა სპეციალობაში ტარდება წერითი ფორმით. ტესტი შედგება ორი თეორიული საკითხისა და დახურული ტესტებისგან. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობად არ არის განსაზღვრული დარგობრივი შეზღუდვა, **სასურველია,** სპეციალობის გამოცდის წერითი ტესტი გამრავალფეროვნდეს სხვადასხვა ტიპის დავალებებით (მაგ. ესსე, წყაროს ანალიზი, ტექსტის ანალიზი და სხვ.) მისაღები გამოცდების ჩატარების პროცედურები და შეფასების კრიტერიუმები და მექანიზმები რეგულირდება აწსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესით, რომელიც განთავსებულია უსდ ვებგვერდზე. გარდა აღნიშნულისა, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით. პროცესი რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება No10/ნ და უსდ რეგულაციებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, პროგრამის შინაარსსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის, მათ შორის უსდ ვებგვერდის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- აწსუ მობილობის განხორციელებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი;
- აწსუ მაგისტრატურაში მიღების წესი;
- უსდ სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესი.
- უსდ ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე) და დაკონკრეტდეს, რა შემთხვევაში გათავისუფლდება პროგრამაზე ჩაბარების მსურველი ინგლისური ენის გამოცდისგან (კონკრეტული სერთიფიკატების მითითება და სხვ. პირობები).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, სპეციალობის გამოცდის წერითი ტესტი გამრავალფეროვნდეს სხვადასხვა ტიპის დავალებებით (მაგ. ესსე, წყაროს ანალიზი, ტექსტის ანალიზი და სხვ.)

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, უსდ-ში მოქმედი რეგულაციების საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 120 ECTS (წელიწადში 60 კრედიტი, სემესტრში 30 კრედიტი, 1 კრედიტს შეესაბამება 25 სთ) და მისი ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი). პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობაა 105 კრედიტი (მათ შორის: სასწავლო კურსები 75 კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა 10 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი 20 კრედიტი); არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობაა 15 კრედიტი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურიკულუმი და პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი განსხვავებულ მონაცემებს გვთავაზობს პროგრამის სტრუქტურული დათვლის შესახებ, რაც ტექნიკურ შეცდომად იქნა მოხსენიებული ინტერვიუების პროცესში, თუმცა პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი საკრედიტო ბადე დასტურდება ცალკეული სილაბუსების საკრედიტო მონაცემების დაჯამებით.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა ძირითადად შეესაბამება სწავლების საფეხურს, პროგრამის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, თუმცა, სააკრედიტაციო ჯგუფის შეფასებით, მცირე სტრუქტურული ცვლილებები ხელს შეუწყობს პროგრამის სტრუქტურის გაუმჯობესებას. კერძოდ, ინტერვიუების პროცესში აღინიშნა, რომ სავალდებულო პრაქტიკა 5 კრედიტიანია (როგორც ის მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში), თუმცა პროგრამის კურიკულუმისა და პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, სავალდებულო პრაქტიკა 10 კრედიტიანია. **რეკომენდებულია,** დაზუსტდეს პროგრამაში სავალდებულო პრაქტიკის კრედიტები და განისაზღვროს არაუმეტეს 5 კრედიტით.

პროგრამის სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული დარგობრივი ინგლისური ენა. **რეკომენდებულია,** პროგრამის სავალდებულო ნაწილს დაემატოს დარგობრივი ინგლისური ენა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სტრუქტურა არ ითვალისწინებს სასწავლო კურსს „საერთაშორისო პოლიტიკა“, რომლის შინაარსმა უნდა ასახოს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე ტენდენციები და განიხილოს სხვადასხვა მოვლენები/ქეისები. **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი „საერთაშორისო პოლიტიკა“.

პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, სასწავლო კურსების უმეტესობას არ აქვს წინაპირობა. სასწავლო კურსების თანმიმდევრულობა ძირითადად ლოგიკურია და იმ სასწავლო კურსების შემთხვევაში, რომლებსაც მითითებული აქვს წინაპირობა, წინაპირობები ძირითადად ადეკვატურია. შეკითხვას აჩენს მხოლოდ ორი სასწავლო კურსის თანმიმდევრულობა. სასწავლო კურსი „რეგიონული უსაფრთხოება და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“ წარმოდგენილია წინაპირობის გარეშე და თავად ქმნის წინაპირობას სასწავლო კურსისთვის „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“. კურსების შინაარსებიდან გამომდინარე, ჯერ უნდა მოხდეს ზოგადი თეორიული ცოდნის გადაცემა და შემდეგ კონკრეტული რეგიონის კონფლიქტების განხილვა უკვე შეძენილი თეორიული ცოდნის საფუძველზე. შესაბამისად, **რეკომენდებულია,** შეიცვალოს სასწავლო კურსების „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“ და „რეგიონული უსაფრთხოება და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“ თანმიმდევრობა პროგრამის სტრუქტურაში და პირველი განისაზღვროს მეორე სასწავლო კურსის წინაპირობად.

პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში წარმოდგენილია ენების კურსები და რამდენიმე არჩევითი საგანი მომიჯნავე სფეროდან

(პოლიტიკის მეცნიერება). **სასურველია,** გამრავალფეროვნდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი სფეროს სფეციფიკისა და სწავლების დონის შესაბამისი სასწავლო კურსებით.

სასწავლო კურსები „სამეცნიერო წერა“ და „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია ერთი და იგივე სემესტრში. **სასურველია,** სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ პროგრამის სტრუქტურაში გადანაცვლდეს მეორე სემესტრში.

პროგრამის სტრუქტურის დადებით ასპეტად უნდა დავასახელოთ რეგიონის სფეციფიკაზე აქცენტი ისეთი სასწავლო კურსებით, როგორიცაა „რეგიონული უსაფრთხოება და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“; „ქართული დიპლომატია და მისი ანალიზი“; „თანამედროვე გეოპოლიტიკური თეორიები“ (რომლის შინაარსში რამდენიმე თემა ეთმობა რეგიონის პრობლემებს). პროგრამის ეს სპეციფიკა ჯეროვნად უნდა აისახოს პროგრამის შედეგებშიც (პროგრამის შედეგების რეფორმულირების შესახებ რეკომენდაცია გაცემულია 1.2. ქვესტანდარტში).

დაინტერესებული მხარეების პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა, თანდართული სილაბუსებით;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია და დანართები;
- თვითშეფასების ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაში სავალდებულო პრაქტიკის კრედიტები და განისაზღვროს არაუმეტეს 5 კრედიტით.

რეკომენდებულია, პროგრამის სავალდებულო ნაწილს დაემატოს დარგობრივი ინგლისური ენა.

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი „საერთაშორისო პოლიტიკა“.

რეკომენდებულია, შეიცვალოს სასწავლო კურსების „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“ და „რეგიონული უსაფრთხოება და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“ თანმიმდევრობა პროგრამის სტრუქტურაში და პირველი განისაზღვროს მეორე სასწავლო კურსის წინაპირობად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, გამრავალფეროვნდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი სფეროს სფეციფიკისა და სწავლების დონის შესაბამისი სასწავლო კურსებით.

სასურველია, სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ პროგრამის სტრუქტურაში გადანაცვლდეს მეორე სემესტრში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სავალდებულო სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობათა იდეოლოგიები და თანამედროვე მსოფლიო“ თავისი შინაარსით წარმოადგენს პოლიტიკური იდეოლოგიების სასწავლო კურსს, რომელიც ეყრდნობა საბაკალავრო დონისთვის შესაფერის ლიტერატურას, რაც ქმნის სილაბუსის შეცვლის აუცილებლობას. პოლიტიკური იდეოლოგიების სწავლება სფეროს სპეციფიკის და სამაგისტრო დონის გათვალისწინებით, შესაძლებელია გულისხმობდეს კლასიკური და თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიების თეორიულ განხილვას და მათ როლს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში აქტუალური ქეისების განხილვით (მაგ. მემარჯვენე პოპულიზმის ზრდა ევროპულ დემოკრატიებში და სხვ.) შეკითხვებს აჩენს თავად სასწავლო კურსის სათაურიც, საერთაშორისო ურთიერთობებში გვაქვს თეორიები და სკოლები და არა იდეოლოგიები. შესაბამისად, უნდა შეიცვალოს სილაბუსის შინაარსი და მოეძებნოს შესაფერისი სათაური (მაგ. პოლიტიკური იდეოლოგიები). სავალდებულო სასწავლო კურსის „საგარეო პოლიტიკის ანალიზი“ სილაბუსი შინაარსით ერთგვარი ჰიბრიდია „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა“ და „საერთაშორისო პოლიტიკის“ საკითხების. საგარეო პოლიტიკის ანალიზი უნდა მოიაზრებდეს თეორიულ მასალას საგარეო პოლიტიკის ანალიზის მეთოდებზე, დიპლომატიის წარმოების თავისებურებებსა თუ მეთოდებზე და შერჩეული შემთხვევების განხილვას თეორიაზე დაყრდნობით. შესაბამისად, უნდა შეიცვალოს სასწავლო კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები. სავალდებულო სასწავლო კურსი „ქართული დიპლომატია და მისი ანალიზი“ სილაბუსის შინაარსისა და მითითებული ძირითადი ლიტერატურის მიხედვით წარმოადგენს ქართული დიპლომატიის ისტორიის კურსს. სილაბუსის ბოლო 3 თემა ეთმობა თანამედროვე საქართველოს, თუმცა შეკითხვას აჩენს ამ თემების ძირითად ლიტერატურასთან შესაბამისობა. შესაბამისად, უნდა დაიწეროს სასწავლო კურსისთვის ახალი სილაბუსი, რომელიც ასახავს თანამედროვე (პოსტსაბჭოთა) საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის განვითარებასა და გამოწვევებს, საგარეო

პოლიტიკურ პრიორიტეტებს და პრიორიტეტების ტრანსფორმაციას. ქართული დიპლომატიის ისტორია შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ცალკე სასწავლო კურსად არჩევით სასწავლო კურსებში.

სავალდებულო სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თანამედროვე გამოწვევები და მიდგომები“ პროგრამის მაკვალიფიცირებელი საგანია. სილაბუსის შინაარსი და ძირითადი ლიტერატურა შეესაბამება საბაკალავრო დონეს, რაც ქმნის სილაბუსის განახლების აუცილებლობას. მაგალითად, სასწავლო კურსის თემატიკაში არ არის წარმოდგენილი ისეთი საკითხები, როგორიცაა ინგლისური სკოლა, პოსტმოდერნიზმი, კრიტიკული თეორია, ფემინიზმი, წინა საუკუნის და მიმდინარე დებატები საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში.

არჩევითი სასწავლო კურსი „პოსტსაბჭოთა პოლიტიკა“ თავისი შინაარსით წარმოადგენს პოსტსაბჭოთა ისტორიას და არა პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკას შედარებითი პოლიტიკის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა არ არის შესაბამისობაში სილაბუსის შინაარსთან. შესაბამისად, უნდა დაიწეროს ახალი სილაბუსი აღნიშნული სასწავლო კურსისთვის.

რეკომენდებულია, დაიწეროს ახალი სილაბუსები სასწავლო კურსებისთვის „საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თანამედროვე გამოწვევები და მიდგომები“, „საერთაშორისო ურთიერთობათა იდეოლოგიები და თანამედროვე მსოფლიო“, „საგარეო პოლიტიკის ანალიზი“, „ქართული დიპლომატია და მისი ანალიზი“, „პოსტსაბჭოთა პოლიტიკა“ სფეროს სპეციფიკის და სწავლების დონის გათვალისწინებით.

გარდა ზემოთაღნიშნული სილაბუსებისა, სხვა სილაბუსებშიც (როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით ნაწილში) ხშირად გვხვდება საბაკალავრო საფეხურისთვის შესაბამისი ძირითადი ლიტერატურის გამოყენება (მაგ. ჰეივუდის, მაგშტადტის, გოგიაშვილის სახელმძღვანელოები და სხვ.), ასევე ერთი და იგივე ლიტერატურის გამოყენება სხვადასხვა სილაბუსებში, ასევე ძველი გამოცემების გამოყენება იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ხელმისაწვდომია ახალი გამოცემა (მაგ. მ.მაცაბერიძის საქართველოს პოლიტიკური სისტემის 2019 წლის გამოცემის pdf ღია წვდომაშია სხვადასხვა ინტერნეტ გვერდებზე, თუმცა სილაბუსში „პოლიტიკური ინსტიტუტები და პოლიტიკური პროცესი“ გამოყენებულია 2006 წლის მოკლე ვერსია). ასევე გამოყენებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მწირია (განსაკუთრებით, სფეროს სპეციფიკისთვის აუცილებელი ინგლისურენოვანი ლიტერატურა). ცალკეულ შემთხვევებში ჩნდება შეკითხვები, მითითებული ლიტერატურა რამდენად ფარავს სილაბუსში მითითებულ ყველა თემას. უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურის თაობაზე შენიშვნა გამოთქმულია პროგრამის შიდა შეფასებაშიც. შესაბამისად, **რეკომენდებულია,** პროგრამის სილაბუსებში გამრავალფეროვნდეს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა ახალი გამოცემებით, ინგლისურენოვანი ლიტერატურით, სამეცნიერო სტატიების გამოყენებით, პოლიტიკის დოკუმენტების გამოყენებით, სასარგებლო ბმულების მითითებით (მაგ. პოლიტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების ვებგვერდები, საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები, ვებგვერდები სადაც განთავსებულია სხვადასხვა კანონმდებლობა, კვლევითი ორგანიზაციების ვებგვერდები, მედია აუთლეტები და სხვ.) და სილაბუსის თითოეულ თემას მიეთითოს სავალდებულო ლიტერატურა კვირების მიხედვით და თემების შესაბამისად.

პროგრამაში სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ძირითადად შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია. შეკითხვას აჩენს სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თანამედროვე გამოწვევები და

მიდგომები“ რომლის მოცულობა განსაზღვრულია 4 კრედიტით, მიუხედავად იმისა, რომ კურსი წარმოადგენს პროგრამის მაკვალიფიცირებელ საგანს. **რეკომენდებულია,** გაიზარდოს სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თანამედროვე გამოწვევები და მიდგომები“ საკრედიტო მოცულობა 6 კრედიტამდე.

სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ განიხილავს როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ მეთოდებს სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით და უახლეს ლიტერატურაზე დაყრდნობით. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული სტატისტიკის შემსწავლელი სავალდებულო ან არჩევითი კურსი, **სასურველია,** სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ ერთი თემა მაინც დაეთმოს სტატისტიკის განხილვას.

პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკონტაქტო საათებად განსაზღვრულია ჯამური 3 საათი. საგანმანათლებლო საფეხურის გათვალისწინებით, **სასურველია,** გამოცდებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების გაზრდა.

პროგრამა ახალია და შესაბამისად, აკრედიტაციის ჯგუფმა მხოლოდ მომიჯნავე პროგრამის სამაგისტრო ნაშრომები დაათვალიერა. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი კვალიფიკაციის სამაგისტრო ნაშრომში აუცილებელია შესასწავლი საკითხისთვის თეორიის შერჩევა და საკითხის კონკრეტულ თეორიულ ჭრილში განხილვაც, **სასურველია,** სილაბუსში „სამაგისტრო ნაშრომი“ აქტივობების ჩამონათვალში გათვალისწინებულ იქნას საკვლევი საკითხის თეორიასთან დაკავშირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა და კურიკულუმის რუკის ანალიზი;
- უსდ შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი;
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- შიდა შეფასება
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, დაიწეროს ახალი სილაბუსები სასწავლო კურსებისთვის „საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თანამედროვე გამოწვევები და მიდგომები“, „საერთაშორისო ურთიერთობათა იდეოლოგიები და თანამედროვე მსოფლიო“, „საგარეო პოლიტიკის ანალიზი“, „ქართული დიპლომატია და მისი ანალიზი“, „პოსტსაბჭოთა პოლიტიკა“ სფეროს სპეციფიკის და სწავლების დონის გათვალისწინებით.

რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში გამრავალფეროვნდეს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა ახალი გამოცემებით, ინგლისურენოვანი ლიტერატურით, სამეცნიერო სტატიების გამოყენებით, პოლიტიკის დოკუმენტების გამოყენებით, სასარგებლო ბმულების მითითებით (მაგ. პოლიტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების ვებგვერდები, საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები, ვებგვერდები სადაც განთავსებულია სხვადასხვა კანონმდებლობა, კვლევითი ორგანიზაციების ვებგვერდები, მედია აუთლეტები და სხვ.) და სილაბუსის თითოეულ თემას მიეთითოს სავალდებულო ლიტერატურა კვირების მიხედვით და თემების შესაბამისად.

რეკომენდებულია, გაიზარდოს სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თანამედროვე გამოწვევები და მიდგომები“ საკრედიტო მოცულობა 6 კრედიტამდე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ ერთი თემა მაინც დაეთმოს სტატისტიკის განხილვას.

სასურველია, სილაბუსში „სამაგისტრო ნაშრომი“ ატივობების ჩამონათვალში გათვალისწინებულ იქნას საკვლევი საკითხის თეორიასთან დაკავშირება.

სასურველია, გამოცდებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების გაზრდა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის მიცემისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსებით და სამაგისტრო ნაშრომის მომზადებით. გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს პროფესიულ პრაქტიკას, რომელსაც სტუდენტები გაივლიან სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში, რაც დასტურდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით და ჩატარებული ინტერვიუებით. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობები დადებითად არის შეფასებული პროგრამის გარე შეფასებაშიც.

უსდ ადმინისტრაციასთან და მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ პროგრამის სტუდენტებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში, რომელსაც უნივერსიტეტი ახორციელებს ერასმუს+ პროექტის ფარგლებში და კვლევით პროექტებში. უსდ ვებგვერდზე იძებნება სტუდენტურ კონფერენციებთან და გამართულ საჯარო ლექციებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები;
- მემორანდუმები;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;

- გარე შეფასება
- ინტერვიუს შედეგები;
- უსდ ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი სწავლება-სწავლის მეთოდები (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); შემთხვევის ანალიზი (Case study); გუნდური (collaborative) მუშაობა; დისკუსია/დებატები; როლური და სიტუაციური თამაში და სხვ). ასევე, სწავლება-სწავლის პროცესში ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. წარმოდგენილი მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს და ეფექტურ როლს ასრულებს სწავლის შედეგების მიღწევაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სილაბუსების უდიდეს ნაწილში სტანდარტულად ერთი და იგივე სწავლება-სწავლის მეთოდებია წარმოდგენილი. **სასურველია,** პროგრამის სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდების ნაკლები უნიფიცირება სასწავლო კურსის შინაარსისა და შეფასების სისტემის გათვალისწინებით.

ინტერვიუების პროცესში დადასტურდა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის სწავლა/სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდების ნაკლები უნიფიცირება სასწავლო კურსის შინაარსისა და შეფასების სისტემის გათვალისწინებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა მიერ ონლაინ შეხვედრების ჩატარების, შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობისა და მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა მიმართ გამოიყენება სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ხასიათდება გამჭირვალობით. სამაგისტრო საგანამანთლებლო პროგრამაში „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ და პროგრამის სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები. ცოდნის შედეგების შეფასების ელექტრონული სისტემა შესაძლებლობას იძლევა ინდივიდუალურად გაეცნოს სტუდენტი შეფასების შედეგებს. აღნიშნული ელექტრონული სისტემა გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (http://edean.atsu.edu.ge/dekanati/) ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტს იქონიოს უკუკავშირი ლექტორთან და საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივროს დადგენილი წესით მიღებული შეფასება. სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ (აწსუ) მოქმედი სააპელაციო სისტემის მეშვეობით სტუდენტს უფლება აქვს მიღებული შეფასების გასაჩივრების მიზნით მიმართოს რექტორის მოადგილეს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა. შედეგად, ამ მიზნით შექმნილი აპელაციის კომისია იღებს გადაწყვეტილებას და იგი სტუდენტის შეფასებას აუმჯობესებს ან ტოვებს ძალაში. როგორც მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევთ მათ გააუმჯობესონ სწავლის შედეგები. აქვე ხაზგასასმელია, რომ ონლაინ ვიზიტმა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობამ დაგვანახა, რომ შეფასების არსებული სისტემა, რომელიც რეგულირდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და აწსუს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის № 5, (17/18) დადგენილების შესაბამისად, კარგადაა ცნობილი შემფასებლებისათვისაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალი იღებს ყველა საჭირო ინფორმაციას მოცემული კუთხით. შემფასებლები რეგულარულად მონაწილეობენ

სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მიზნით დაგეგმილ ტრეინინგებში და იღებენ თანამედროვე ინფორმაციას ამ მიმართულებით. აღნიშნული ასახულია თითოეული კურსის სილაბუსებშიც, რომლებშიც წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით გაწერილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: წერით სემინარებს და საშიანო დავალებებს, ზეპირ გამოკითხვებს, ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაციის მომზადებას, ასევე ზეპირი ან/და წერითი გამოცდის ჩატარებას. შეფასების თითოეულ კომპონენტს გაწერილი აქვს შესაბამისი ქულა და ნათლად არის ფორმულირებული მისი წილი საბოლოო შეფასებათა ჯამში. შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. მიუხედავად აღნიშნულისა, სხვადასხვა სილაბუსებში ფიქსირდება აქტივობის 30 ქულის უნიფიცირებული რუბრიკები და ქვიზების ხშირი გამოყენება შეფასების ფორმად. **სასურველია,** სასწავლო კურსების სილაბუსების აქტივობის რუბრიკები გამრავალფეროვნდეს შეფასების მეთოდებით სასწავლო კურსის შინაარსის გათვალისწინებით. გარდა აღნიშნულისა, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ სასწავლო კურსებში („კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში"; „საერთაშორისო მოლაპარაკებების თეორია და პრაქტიკა" და სხვ.) შეფასებების საგამოცდო ნაწილები წარმოდგენილია თეორიული საკითხებით. **რეკომენდებულია,** პროგრამის პრაქტიკული უნარების განმავითარებელ სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტების პრაქტიკულ დავალებებზე დაფუძნება.

პროგრამა ასევე მოიცავს 20 კრედიტიან სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. კერძოდ, პროგრამის დასასრულს, მეოთხე სემესტრის ბოლოს სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ სამაგისტრო ნაშრომი, რომლის შეფასების წესი მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში. უსდ-ს მიერ ასევე შემუშავებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი, რომელშიც გაწერილია ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურები. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, სემესტრის ბოლოს, წერილობითი ფორმით წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომისა და მისი საჯარო დაცვის საფუძველზე. ხაზგასასმელია, რომ შეფასების მაქსიმალური ქულა შეადგენს 100. ამასთანავე როგორც მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, სტუდენტები იცნობენ აკადემიური ნაშრომის შესრულებისა და გაფორმების წესებს. სამაგისტრო ნაშრომები ასევე გადიან შემოწმებას პლაგიატის არსებობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო საგნმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;
- აწსუს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა http://edean.atsu.edu.ge
- აწსუს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის № 5, (17/18) დადგენილება სტუდენტთა შეფასების სისტემის შესახებ;
- აწსუს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №9 (17/18) დადგენილება გამოცდების აპელაციის წესის შესახებ;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი;
- უსდ ვებგვერდი.

რეკომენდაციები: **რეკომენდებულია,** პროგრამის პრაქტიკული უნარების განმავითარებელ სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტების პრაქტიკულ დავალებებზე დაფუძნება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: **სასურველია,** სასწავლო კურსების სილაბუსების აქტივობის რუბრიკები გამრავალფეროვნდეს შეფასების მეთოდებით სასწავლო კურსის შინაარსის გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც ონლაინ-ვიზიტის შედეგად ჩატარებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, პროგრამა გამოირჩევა იმ მექანიზმების მრავალფეროვნებით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე. კერძოდ, მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კომუნიკაცია დაუბრკოლებლად ხორციელდება ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო კომუნიკაციის, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა eFlow-სა და სოციალური ჯგუფების მეშვეობით. პროგრამის სტუდენტებს საჭირო ინფორმაციას აწვდიან და სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით კონსულტაციებს უტარებენ როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, ასევე ფაკულტეტისა და პროგრამაში ჩართული პერსონალიც. სასწავლო პროცესის შესახებ სტუდენტები ინფორმაციას იღებენ ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან (https://atsu.edu.ge/index.php/academic-calendar-2020-2021-geo). მომიჯნავე სტუდენტებთან შეხვედრის დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სტუდენტები სარგებლობენ ანდროიდ პლატფორმაზე შექმნილი აპლიკაცია ATSU NEWS-ით, რომელიც აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას როგორც სასწავლო პროცესზე, ასევე უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეების და მოვლენების შესახებ. ამასთანავე, სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ საჭირო ინფორმაციას საუნივერსიტეტო სერვისების, სხვადასხვა დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო ღონიძიებებისა და პროექტების თაობაზე უნივერსიტეტში მოქმედი ოფიციალური ვებ–გვერდის - www.atsu.edu.ge მეშვეობითაც. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ვებგვერდზე განთავსებული გზამკვლევის საშუალებით სტუდენტი იღებს ინფორმაციას ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების, გრანტების, კარიერული განვითარებისა და საჯარო ლექციების შესახებ. ამასთანავე, უნივერსიტეტში მოქმედი ელექტრონული სისტემების მეშვეობით (ელექტრონული ფოსტა, ონლაინ სწავლების პლატფორმა - Microsoft teams, საინფორმაციო პლატფორმა - ATSU NEWS, უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი, ოფიციალური facebook გვერდი) მომიჯნავე დარგის სტუდენტები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას როგორც სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი კომპონენტისა თუ მიმართულების შესახებ, ასევე ვაკანსიების და კარიერული ზრდის მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ. სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისების ფარგლებში აწსუში 2014 წლიდან ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრიც აღსანიშნავია, რომ სტუდენტების ინფორმირებისა და კონსულტირების პროცესში ფაკულტეტის დეკანატის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ასევე ჩართულია სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებთან კომუნიკაციას, მათ კონსულტაციას, კარიერულ საკითხებთან დაკავშირებით დახმარებას, იურიდიულ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. მომიჯნავე დარგის სტუდენტები ასევე სარგებლობენ უნივერსიტეტში მოქმედი „ომბუდსმენის ოფისის“ სერვისებითაც, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს

და მიმართულია სტუდენტების უფლებების დაცვისაკენ. გარდა ზემოთ აღნიშნულისა სტუდენტებისათვის ასევე გამოყოფილია საკონსულტაციო საათები აკადემიურ პერსონალთან, რომლის ფარგლებშიც მიიღებენ ყველა საჭირო დახმარებასა და ინფორმაციას. ამასთანავე თითოეული სტუდენტის სასწავლო პროცესში მაქსიმალურად ჩართვის მიზნით, უნივერსიტეტში მიღებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომლიც უზრუნველყოფს სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით მათ მაქსიმალურად ეფექტიანად ჩართვას სასწავლო პროცესში. სტუდენტთა კონსულტაციის, მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმართველობა, რომლის მეშვეობითაც ხელი ეწყობა სტუდენტთა თვითრეალიზაციას, მათი ინტერესებისა და უფლებების დაცვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ფაკულტეტის ვებგვერდი (http://www.atsu.edu.ge/); • ინტერვიუ მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან; • აკადემიური საბჭოს დადგენილება №30(17/18) „უნივერსიტეტში სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“; • სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური https://atsu.edu.ge/index.php/students-service-info; • სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობა https://atsu.edu.ge/index.php/carrier-development-info; • მომიჯნავე სპეციალობის კურსდამტავრებულთა სამაგისტრო ნაშრომები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამა ახალია და მას ჯერ არ ჰყავს მიღებული სტუდენტები, მხოლოდ პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, აკადემიურ პერსონალთან და მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში. როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ფაკულტეტი სტუდენტს აძლევს საშუალებას კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში რეგულარული კონსულტაციები მიიღოს როგორც ხელმძღვანელისგან ისე სხვა აკადემიური პერსონალისგანაც. როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამიდან და ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მაგისტრატს შესაძლებლობა აქვს სამაგისტრო თემა აირჩიოს თავისი საკვლევი ინტერესის სფეროს გათვალისწინებითა და ხელმძღვანელთან შეთანხმებით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში აიყვანონ თანახელმძღვანელიც. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი მხარდჭერას უწევს მაგისტრანტს კვლევის პროცესში, უზრუნველყოფს რა სტუდენტის კონსულტაციას კვლევის პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ თვითშფასების ჯგუფთან;
- მომიჯნავე სპეციალობის კურსდამთავრებულთა ნაშრომები;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება სტანდარტის მოცემული კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულნი არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათ შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 2 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი და 5 ასისტენტ პროფესორი. უნივერსიტეტში მოქმედებს აფილირების წესი და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალიდან 11 აფილირებულია.

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, ტრენინგებით და სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებით საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, ფლობს დარგისთვის და პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელ ცოდნას და აქტიურად მონაწილეობს პროგრამის განვითარების პროცესში. პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა სამსახურის ხელშეწყობით. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურისა და სხვათა ხელშეწყობით. პროგრამის უშუალოდ განხორციელებას და მონიტორინგს კი უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია: დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის და პროგრამის ხელმძღვანელები, რომელთა რაოდენობა, ფუნქცია-მოვალეობები და კომპეტენცია შეესაბამება სტანდარტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მითითებით; • აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV-ები); • პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები; • აკადემიური პერსონალის აფილირების წესი; • აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №173. 28.02.2018. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ; • 2019 წლის 10 ივლისის აკადემიური საბჭოს №65 (18/19) დადგენილება: „აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვის ნორმები“; • ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება; • უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კონკურსის ჩატარების წესი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია რეგულარულად ახორციელებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებას. პროცესის მიზანია უნივერსიტეტის თანამშრომლების ხელშეწყობა საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად შესრულებასა და პროფესიულ განვითარებაში.

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების შესაფასებლად გამოიყენება სასწავლო წლის ფარგლებში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება. აკადემიური პერსონალის სასწავლო - მეთოდურ მუშაობას ამოწმებს ფაკულტეტის დეკანატი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და რექტორის მოადგილე.

პერსონალის შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის და მისი ანალიზის საფუძველზე ხდება უნივერსიტეტში პერსონალის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, რაც უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობითა და ადმინისტრირებით მიმდინარეობს.

პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის აწსუ იყენებს შემდეგ სერვისებს:

- ტრენინგებზე და სამეცნიერო კონფერენციებზე მივლინება;
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები;
- აწსუ-ს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება;
- უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგ მოდულები;
- აწსუ-ს სამეცნიერო კონფერენციების სერვისები.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი მონაწილეობას ღებულობს ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“, რომელიც ტარდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით აწსუ ორ წელიწადში ერთხელ ატარებს საერთაშორისო კონფერენციას ამერიკანისტიკაში. აღნიშნული კონფერენციის აქტიური მონაწილეა პროგრამის აკადემიური პერსონალი.

COVID 19-ის პანდემიით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ელექტრონული სწავლების განვითარებისა და ტექნიკური მხარდაჭერის მუდმივმოქმედ ჯგუფთან ერთად აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩაატარა ტრენინგები დისტანციური სწავლებისა და უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმებით სარგებლობის შესახებ. აკადემიური პერსონალისთვის მომზადდა ვიდეო ინსტრუქციები და გზამკვლევები სწავლება/სწავლის პროცესის შეუფერხებელი წარმართვისთვის.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობის წახალისების მიზნით უნივერსიტეტი იყენებს ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა:

- საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანასება;

- საერთაშორისო პროგრამებში/პროექტებში პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა;
- საერთაშორისო გამოცემებში პერსონალის გამოქვეყნებების მხარდაჭერა;
- საერთაშორისო პარტნიორებთან სამეცნიერო-კველევითი პროექტების განხორციელების მხარდაჭერა.

უნივერსიტეტში არსებობს ბრძანება სამოგზაურო გრანტის შესახებ. თუკი პროფესორი მონაწილეობას იღებს მნიშვნელოვან ღონისძიებაში, მან უნდა წარადგინოს საბუთები საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურში ბრძანების შესაბამისად, სამსახური სწავლობს საბუთებს და ანგარიშს წარუდგენს რექტორს, დაფინანსების შესაძლებლობის შესახებ. ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტი პროფესორს უნაზღაურებს მგზავრობას და დღიურ ხარჯებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთანავე მსგავსი ფუნქცია აქვს ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც ბონუსიდან აფინანსებს პროფესორის აქტივობას.

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს შიდა საგრანტო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია აკადემიურ პერსონალს ინდივიდუალურად ან ჯგუფის სახით.

საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახური სისტემატურად აწვდის ინფორმაციას ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს და სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტს სხვადასხვა დაგეგმილი საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ.

უნივერსიტეტში არსებობს კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური, რომელიც სისტემატურად ზრუნავს აკადემიური პერსონალის განვითარებაზე. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო პროექტებისა და პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტი რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების შესახებ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა EP-QA 1.2;
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა. დანართი 4-EP-QA 1.2;
- აწსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- აწსუ-ს აკადემიური საბჭო დადგენილება № 65(18/19), 10.07.2019 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურული და ტექნიკური აღჭურვილობით. მათ შორის გამორჩეულად კარგად მუშაობს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია პროგრამისთვის აუცილებელი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ლიტერატურა. სტუდენტებისთვის და პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზები, რომელთა ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე.

უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდიდან ასევე შესაძლებელია ელექტრონული კატალოგით ლიტერატურის მოძიება და დაჯავშნა.

ერასმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტების ფარგლებში ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიქმნა ორი კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერებით და ჭკვიანი დაფებით. პროგრამა ასევე სარგებლობს საპროექციო აპარატურით აღჭურვილი 20 აუდიტორიით, შეხვედრებისა და კონსულტაციების ოთახებით და საკონფერენციო დარბაზებით. უნივერსიტეტის ერთ-ერთ საკონფერენციო დარბაზში განთავსებულია სინქრონული თარგმანის აპარატურა.

უნივერსიტეტი სარგებლობს Microsoft-თან გაფორმებული ოფიციალური სახელშეკრულებო პირობებით და ლიცენზიებით. დისტანციური სწავლების ფორმატში უნივერსიტეტი იყენებს Microsoft Teams-ს. ყველა სტუდენტს საშუალება აქვს ისარგებლოს კორპორაციული ფოსტით და Microsoft-ის სხვა პროდუქტებით.

უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შესაძლებელია უფასო Wi-Fi-ით სარგებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;
- აწსუ-ს ბიბლიოთეკა https://library.atsu.edu.ge/
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული ყოველწლიური ხარჯის გაანგარიშების სპეციალური ელექტრონული პროგრამით და იანგარიშება პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით. პროგრამის თანდართული ბიუჯეტი აგებულია პროგრამის ცალკეული ჯგუფისთვის გათვალისწინებული ხარჯების მიხედვით და მოიცავს (ერთი 20 სტუდენტიანი ჯგუფისთვის): • აკადემიური პერსონალის სახელფასო სარგოს და საშტატო განაკვეთის დატვირთვის მოცულობას; • წლის განმავლობაში დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯს; • წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯს; • ინფრასტრუქტურას ალტერნატიული წყაროებიდან, რაც გულისხმობს სხვადასხვა ფონდებიდან შეძენილი აქტივის ან საჩუქრად გადმოცემული ქონების ღირებულებას, რომელიც პროგრამის ხარჯს არ ემატება და წარმოადგენს დამატებით სარგებელს. • სხვა ხარჯებს, რომელშიც შედის სახარჯო მასალები და მარაგები. აღნიშნული ფორმით გაანგარიშების საფუძველზე პროგრამის წლიური ხარჯი შეადგენს 30349 ლარს. დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ უნივერსიტეტი ჩართულია აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების პროფესიული განვითარების ფინანსურ მხარდაჭერაში. მიუხედავად ამისა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის გამოყოფილი ხარჯი ბიუჯეტის ფორმატიდან გამომდინარე გათვალისწინებულია <u>სხვა ხარჯებში</u> და წარმოდგენილია ერთ ჯგუფზე საშუალო გადანაწილების პრინციპით. ბიუჯეტის აღნიშნული ფორმა ართულებს აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების განვითარებისთვის გამოყოფილი ყოველწლიური ფინანსური ხარჯის აღქმას. შესაბამისად, **სასურველია,** აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი წარმოდგენილი იყოს უფრო თვალსაჩინოდ, სადაც გამოჩნდება ამ მიმართულებით წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა პროექტების ფინანსური ხარჯი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N175 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ; • პროგრამის ბიუჯეტი; • ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **სასურველია,** აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი წარმოდგენილი იყოს უფრო თვალსაჩინოდ, სადაც გამოჩნდება ამ მიმართულებით წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა პროექტების სავარაუდო ფინანსური ხარჯი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებებით იკვეთება, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შიდა შეფასების სისტემას, რომლის საფუძველია „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი,

ავტორიზაციის/აკრედიტაციის დებულებები, უნივერსიტეტის წესდება და სხვა ნორმატიული დოკუმენტები.

უსდს მიერ ამ პროცესში გამოყენებულია ციკლური პროცესი ოთხი ურთიერთდაკავშირებული ელემენტით: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება (PDCA ციკლი).

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას - სამი ძირითადი მიმართულებით: საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა, კვლევის განვითარება და მართვის ეფექტიანობა.

აღსანიშნავია, რომ შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმებში აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები: აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დეპარტამენტის წარმომადგენლები. ასევე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები.

ფაკულტეტზე მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის მიხედვით, აქტიურად მიმდინარეობს სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა სასწავლო კურსების შესაბამისად.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის საფუძველზე მუშავდება მონაცემები, მიმდინარეობს მონაცემთა ანალიზი .

როგორც დოკუმენტაციით, ასევ გასაუბრებების შედეგად დასტურდება, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შესახებ ანგარიშს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს და აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

ასევე შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ფორმა, რომელშიც მონაცემები კარგად არის დეტალიზებული, ორიენტირებულია რაოდენობრივ და თვისობრივ მონაცემებზე, რაც საშუალებას იძლევა, მარტივად წარმოჩნდეს პროგრამის განვითარების დინამიკა და მოხდეს მისი სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი.

შიდა მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს PDCA-ციკლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს, რომლის გამოყენებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს თავის საქმიანობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება საერთაშორისო „კარგი პრაქტიკისა“ და გამოცდილების გაზიარებას, შესაბამისად, იგეგმება ხარისხის სისტემაში გამოყენებული პოლიტიკების, პროცედურების და ინსტრუქციების გამოყენება.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის აქტიურად მუშაობს ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასება. ეს მიმართულება შემუშავდა BathSpaUniversity-ის გამოცდილების გაზიარებით და ხორციელდება 2017 წლიდან აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისათვის და მიმართულია სასწავლო პროცესის სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის. როგორც გასაუბრებებით იკვეთება, აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრებამ ხელი შეუწყო გამოცდილების გაზიარებასა და პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

2019 წლის პირველ ნახევარში აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ლექტორ-მასწავლებელთა უმრავლესობა თვითგანვითარებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის პრიორიტეტულ საკითხი იყო კვალიფიკაციის ამაღლება, სასწავლო მეთოდების დაუფლება და სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების გაწერა, სხვადასხვა სტრატეგიებისა და ტექნიკების გამოყენებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის ივნისის, სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში, ასევე 2020 წლის იანვარში ჩატარდა ტრენინგები პროგრამების ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალისთვის.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ შიდა შეფასება გააკეთა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა. მის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები პროგრამის ხელმძღვანელის და თვითშეფასების ჯგუფის მიერ მეტწილად გათვალისწინებულია პროგრამის შემუშავების პროცესში - სასწავლო კურსებში ლიტერატურის გადახალისებისა და წყაროების დამატების ნაწილში

აღნიშნული დასტურდება უსდ-ის ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურის, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმღვანელთან გასაუბრებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - 09.02.2018, #49(17/18) https://atsu.edu.ge/index.php/acadcouncil-separator/akad-sabcho-dadgenilebebi/2017-2018/49-2017-2018
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები https://atsu.edu.ge/index.php/qas-reports
- შიდა შეფასება .
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ჩატარებული გასაუბრებებით დასტურდება, რომ გარე შეფასების ინსტრუმენტებს უსდ აქტიურად იყენებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ამისთვის ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და პარტინიორ უნივერსიტეტებთან.

სხვადასხვა პარტნიორ უნივერსიტეტში გარე შემფასებლებთან თანამშრომლობა, დარგის სპეციალისტების მიერ გაცემული გარე შეფასებები - რეკომენდაციების/ რჩევების სახით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესს.

წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ გარე კოლეგიალური შეფასება გააკეთა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა.

დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები მეტწილად აისახა პროგრამის შემუშავების პროცესში. რაც სასწავლო კურსებში ლიტერატურის დამატებას და სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურის გადახალისებას ითვალისწინებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, პროგრამის მომზადებისას მოხდა აღნიშნული პროგრამის დადარება სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან (იაპონია, ლატვია, უკრაინა). პროგრამის ხელმძღვანელის შეფასებით, უცხოური უნივერსიტეტების შერჩეულ პროგრამებში წარმოდგენილია აწსუ სამაგისტრო პროგრამის მსგავსი სასწავლო კურსები, ზოგიერთ შემთხვევაში იდენტურია კრედიტების განაწილებაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე შეფასება
- ინტერვიუს/ გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური

შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილო დოკუმენტაციითა და გასაუბრებებით ჩანს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი ხორციელდება თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის შესაბამისად, ასევე საკანონმდებლო აქტებში ასახული ცვლილებების დანერგვის გზით. ამ პროცესში აქტიურად გამოიყენება შემდეგი აქტივობები/ღონისძიებები: დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონაცემთა შეგროვება და ანალიზი; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მონაცემთა შეგროვება და ანალიზი; პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, მოწვეული) განვითარების ღონიშძიებების დაგეგმვა/განხორციელება; კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზი. როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამის შეფასების ერთ-ერთი პროცედურა ითვალისწინებს აწსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირების გამოკითხვას, რომელიც ხორციელდება შემდეგი პერიოდულობით: ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლების, ხოლო ორ წელიწადში ერთხელ დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. გამოკითხვებს წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შესაბამისი აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელი. პროცედურის განხორციელებით მიღებული მონაცემების ანალიზი პროგრამის განახლებისა და განვითარების საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული გამოკითხვებისთვის კითხვარებს ადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელთაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. გამოკითხვის შედეგების ანალიზს კი აკეთებს და შესაბამის რეკომენდაციებს გასცემს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. ანალიზის შედეგები ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის დეპარტამენტს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის. გამოკითხვებით მიღებული შედეგები და ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას, აკადემიური პერსონალის მიერ სწავლების პოლიტიკის გადახედვას და სრულყოფას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი სრულდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლით, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შემდეგი მონაცემების შეგროვებას: ჩატარებული გამოცდების, გამოცდებზე დაშვებული სტუდენტების რაოდენობა, ECTS-ის მიხედვით მიღებული დადებითი და უარყოფითი შეფასებების მაჩვენებელი, დადებითი შეფასებების მაჩვენებელი ECTS-ის და სემესტრების შესაბამისად. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხდება იმ სასწავლო კურსების დადგენა, სადაც ფიქსირდება უმაღლების შეფასებების (A და B), ან დაბალი შეფასებების (E და D) მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, რის შემდეგაც მიმდინარეობს მიზეზების დადგენა და მუდმივად მიმდინარეობს მიღებული მონაცემების შედარება წინა სემესტრების მაჩვენებლებთან, რათა განვითარების დინამიკაში დადგინდეს, აქვს თუ არა ადგილი შედეგების გაუმჯობესებას/გაუარესებას, გაანალიზდეს მიღებული შედეგების გამომწვევი

მიზეზები.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებს და ანალიზს (სასწავლო წლის მანძილზე ორჯერ, საშემოდგომო სემესტრისათვის - მარტი; საგაზაფხულო სემესტრისათვის - სექტემბერი) უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგების განხილვა მუდმივად მიდინარეობს ფაკულტეტის საბჭოზე. რის შემდეგაც პროგრამის ხელმძღვანელი აკადემიურ პერსონალთან ამ შედეგების განხილვის შემდეგ გეგმავს სილაბუსებში განსახორციელებელ ცვლილებებს (სწავლების მეთოდებთან, შეფასების სისტემასთან, სასწავლო კურსის შინაარსთან მიმართებით).

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებებით იკვეთება, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დგება პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, სადაც განიხილება პროგრამის განხორციელების სტატისტიკური მაჩვენებელი, პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული სხვადასხვა ღონისძიებები, პროგრამის შიდა შეფასების შედეგები და უკვე განხორციელებული ცვლილებები, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები, პრაქტიკა და სხვა აქტივობები.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ თვითშეფასების დოკუმენტებში გაანალიზებულია საგანმანათლებლო პროგრამების როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები, საფრთხეები და განვითარების შესაძლებლობები. მუდმივად მიმდინარეობს პროგრამის სრულყოფა და მოდიფიკაცია.

პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესი ხორციელდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობით.

შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები და ღონისძიებები უზრუნველყოფს პროგრამის გაუმჯობესებას.

პროგრამის შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან გასაუბრებებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“. აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - №49 (17/18), 09.02.2018
- EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა გამოკითხვების ფორმები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა, საფეხური 7

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა გვანცა აბდალაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ხვიჩა ბერიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ირმა ქურდაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნანა ფირცხელანი